დავით ბერაძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
dbera18@freeuni.edu.ge

ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათი (ISKP) – საფრთხეები რეგიონის უსაფრთხოების გარემოსთვის და გამოწვევები თალიბანისთვის

რეზიუმე

ნაშრომი შეეხება ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გასვლის შემდეგ ჩამოყალიბებულ უსაფრთხოების გარემოს. განხილულია თალიბანის მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ფორმირებული საფრთხეები და მათი გამწვავების პერსპექტივები. მოცემულია ორი ტერორისტული ორგანიზაციის შედარებითი ანალიზი, იდეოლოგიური განსხვავება, მიზნები და ინტერესები. წარმოდგენილია ტერორისტული ორგანიზაციების ტაქტიკური ცვლილებები, მახასიათებლები და სტრატეგიის თავისებურებები. სტატიაში გაანალიზებულია ავღანეთიდან ცენტრალურ აზიაში ექსტრემიზმის ექსპორტის პერსპექტივები და სავარაუდო საფრთხეები სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის, მოცემულია საკითხის თეორიული, სამეცნიერო გააზრებაც.

ნაშრომში განხილულია ის გამოწვევები და საფრთხეები, რომლის წინაშეც თალიბანი და ზოგადად რეგიონი დგას „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენების ზრდის ფონზე. მიმოხილულია ავღანეთში ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, თალიბანის დაპირისპირება „ისლამურ სახელმწიფოსთან“. გარდა ამისა, შეფასებულია თალიბანის მიერ შიდაპოლიტიკური გავლენების შენარჩუნების პერსპექტივებიც. მთავარი ამოცანაა საფრთხეების სწორად შეფასება. საკითხავია, რამდენად შეძლებს თალიბანი „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათისთვის“ წინააღმდეგობის გაწევას პოლიტიკური რეინკარნაციის შემდეგ.

დასახული მიზნების მისაღწევად ნაშრომში გამოყენებულია სფეროს ექსპერტებისა და მკვლევარების სტატიები და მოსაზრებები. ნაშრომის სრულყოფისათვის გამოყენებულია ახლო აღმოსავლეთზე ორიენტირებული კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშები. ძირითადი სტრუქტურა სწორედ ზემოთ აღნიშნული მასალების ანალიზზეა აგებული. სტატისტიკური ინფორმაციისათვის, მოშველიებულია საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოების მიერ გამოქვეყნებული ყოველწლიური ანგარიშები. ტერორისტული ორგანიზაციების სტრატეგიების განხილვის ნაწილში კი ანალიტიკურ კვლევებია გამოყენებული. რიგი საკითხების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად ნაშრომის ავტორმა კონსულტაციები გაიარა საქართველოს თავდაცვის ძალების მოქმედ ოფიცრებთან, რომლებიც ავღანეთის სამშვიდო მისიებში იღებდნენ მონაწილეობას და ორივე ტერორისტულ ორგანიზაციასთან ბრძოლისა და დაპირისპირების პრაქტიკული გამოცდილება აქვთ.

რაც შეეხება საკვლევი საკითხის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებთან თავსებადობას - ნაშრომი ეყრდნობა აკადემიურ წრეებში დამკვიდრებულ მიდგომებს. სიზუსტისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად და თარგმანის დროს შეცვლილი შინაარის თავიდან ასაცილებლად ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერების, მათი მიმართვებისა თუ დოკუმენტური მასალის მოსაპოვებლად გამოყენებულია აღმოსავლური, ორიგინალური წყაროები.

საკვანძო სიტყვები: ავღანეთი, თალიბანი, ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათი, ტერორიზმი, ექსტრემიზმის ექსპორტი.

„ავღანეთი იმპერიების სასაფლაოა“
- ძველი ხალხური კლიშე

“Afghanistan is a Graveyard of Empires”
- Old Folk Cliche

ფრაზა, რომლითაც ნაშრომი იწყება, სათავეს შორეული ისტორიიდან იღებს და დამპყრობლების მიერ ავღანეთში პოლიტიკური ან სამხედრო წარმატების მიღწევის შესახებ უამრავ მცდელობას ასახავს. თუმცა, თანამედროვეობა გვიჩვენებს, რომ ყოველი მათგანი კრახით დასრულდა.

დღეს ავღანეთის წინაშე მდგარ საფრთხეს უცხოელი დამპყრობელი არ წარმოადგენს. ქვეყნიდან ამერიკის შეერთებული შტატების გასვლის შემდეგ რეგიონის უსაფრთხოების გარემო მკვეთრად შეიცვალა. თალიბანის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. თუმცა, ვითარება „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის“ ქმედებების გამო არასტაბილური გახდა. ბოლო გარემოებების გათვალისწინებით, „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის“ გავლენები დღითიდღე იზრდება, თალიბანს კი მათი შეკავება სულ უფრო უჭირს. რეგიონის უსაფრთხოების გარემო ახალი საშიშროების წინაშეა, რომელსაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თალიბანი ებრძვის.

ავღანეთში ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, თალიბანის დაპირისპირება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ და მხარეთა ტაქტიკური ცვლილებები აშკარაა. მთავარ საკვლევ კითხვას ახალი უსაფრთხოების გარემოს პირობებში ქვეყნიდან ექსტრემიზმის ექსპორტის პერსპექტივები წარმოადგენს.

თალიბანი და „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათი“ (ISKP)

§ 1: ავღანეთის ეთნიკური რუკა და პუშტუნვალი

ავღანეთი მულტიეთნიკური და მეტწილად ტომობრივი საზოგადოებაა. ქვეყნის პოპულაცია მთელი რიგი ეთნოლინგვისტური ჯგუფებისაგან შედგება. იგი 21 მსხვილ ეთნოსს აერთიანებს (Siddique 2012, 1-2). შესაბამისად, რთულია ამ ადამიანების საერთო პოლიტიკურ წესრიგში მოქცევაც. განსაკუთრებით კი იმ ფონზე, როდესაც ისტორიულადაც ეს ხალხები ერთმანეთთან დაპირისპირებულ ტომებს წარმოადგენენ.

პაშტუნები ავღანეთში ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს ქმნიან. დაუზუსტებელი მონაცემებით, აღნიშნული ჯგუფი მოსახლეობის დაახლოებით 45%-ს შეადგენს. პუშტუნების უმეტესობა სუნიტი მუსლიმები არიან (Minority Rights Group International, n.d.) მეორე ყველაზე მსხვილი ეთნიკური ჯგუფი ტაჯიკებითაა დაკომპლექტებული. პაშტუნების მსგავსად ისინიც ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან. თუმცა, მათი ენა სპარსულია.

ეთნიკური მრავალფეროვნება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთ გეოგრაფიულ არეალშია მოქცეული, ბევრ პრობლემას ბადებს. თუმცა, ასეთ დროს სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებს ერთმანეთთან ყველაზე კარგად სოციალური ერთობა, ქცევის ზოგადი წესები აკავშირებს. ავღანეთის შემთხვევაში ამ გამაერთიანებლის როლს პაშტუნვალი თამაშობს.

პაშტუნვალი ტრადიციული ცხოვრების წესს წარმოადგენს. პაშტუნები ხშირად მას ქცევის კოდექსსაც უწოდებენ. მართალია პაშტუნვალი მეტწილად პაშტუნებსა და მათით დასახლებულ რეგიონებშია პოპულარული, თუმცა მისი სწავლება გავლენას ყველაზე ახდენს. მის მთავარ პრინციპს უცხოების, სტუმრებისა და ერთმანეთისადმი პატივისცემით მოპყრობა წარმოადგენს. იგი საკუთარი თავის პატივისცემას, დამოუკიდებლობისადმი სწრაფვას, სამართლიანობას, სტუმართმოყვარეობას, სიყვარულს, პატიებას, შურისძიებასა და ტოლერან-

ტობას ქადაგებს. ყველა პაშტუნი პასუხისმგებელია დაიცვას პაშტუნვალის მიზანი და პატივი სცეს მას (Hawkins 2009, 1-13).

§ 2: თალიბანის ისტორია და სტრუქტურა

თალიბანი სუნიტური ისლამისტური ნაციონალისტური და პრო-პაშტუნური ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა და 1996-დან 2001 წლამდე ავღანეთის მმართველ პარტიას წარმოადგენდა.

თალიბანის ორგანიზაციული სტრუქტურა მეტად საინტერესოა. როგორც აღვნიშნეთ, ტერორისტულ ორგანიზაციას პოლიტიკური მმართველობის გამოცდილებაც აქვს. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციის სტრუქტურა ორ ფრთად - პოლიტიკურ და სამხედრო ფრთებად იყოფა. ორივე მათგანის ერთპიროვნული მმართველი და ლიდერი უზენაესი ფიგურაა. 2016 წლიდან დღემდე ორგანიზაციას ჰიბათულა ახუნზადა მართავს. თუმცა, მასთან ერთად ორგანიზაციის საქმიანობაში საკუთარი წვლილი შეაქვს თალიბანის ერთ-ერთ დამაარსებელს აბდულ ღანი ბარადარს. ის უმეტესად ტერორისტული ორგანიზაციის პოლიტიკური და რელიგიური ფრთის წინამძღოლია და ორგანიზაციის წევრების სულიერ მზაობაზე ზრუნავს (Congressional Research Service 2021).

მედია-გამოცემა ამერიკის ხმისათვის მიცემულ ინტერვიუში, თალიბანის ერთ-ერთი მაღალი რანგის პირი, მუჰამად აჰსასი აღნიშნავს, რომ თალიბანს ავღანეთი 34 ადმინისტრაციულ პროვინციად ჰქონდა დაყოფილი. ეს ადმინისტრაციული პროვინციები კი სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ განაყოფებში ერთიანდებოდნენ. თითოეული პროვინცია 8 ზონად იყო დანაწილებული, რომლებიც თავის მხრივ უბნებად იყოფოდა. თალიბანმა პროვინციებისა და უბნების ჩრდილოვანი მმართველების დანიშვნა 2005 წლიდან დაიწყო (Sayed 2021).

თითოეული დისციპლინისა და საკითხის უკეთ სამართავად თალიბანმა წარსულში 18 კომისია დააფუძნა. აღნიშნული კომისიები სამინისტროების მსგავსად მოქმედებდნენ და პასუხისმგებელნი იყვნენ სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მედია, კულტურულ, საზოგადოებრივ საქმეთა, სადაზვერვო და სხვა სახის საკითხებზე (Sayed 2021).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თალიბანის სტრუქტურაში უმნიშვნელოვანესი პოზიცია უკავიათ სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაურებს. „წითელი დანაყოფის“ მეთაურები საზოგადოებაში განსაკუთრებული გავლენებით სარგებლობენ.

§ 3: „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის“ ისტორია და სტრუქტურა

„ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათი“ თავად ისლამური სახელმწიფოს ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში მოქმედი ფრთაა. „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათი“ 2014 წელს TTP[1]-ის, ალ-კაიდასა და თალიბანის ავღანეთში და პაკისტანში არსებული მებრძოლების გაერთიანებით ჩამოყალიბდა (Rassler 2015, 7-12).

„ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის“ ამირად აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ ჰაფიზ ხან საედი დანიშნა. აღნიშნული პიროვნება ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის ლიდერობამდე TPP-ის, ანუ პაკისტანის თალიბანის ერთ-ერთი მაღალი რანგის მეთაური გახლდათ, რომელიც ორაკზაიში[2] მიმდინარე ოპერაციებზე იყო პასუხისმგებელი (Jones 2015). TPP-ის ყოფილმა წევრმა მეთაურებმა ისლამური სახელმწიფოს შესაძლებლობები სტრატეგიულ სასაზღვრო არეალებზეც გაზარდეს (Rassler 2015, 7-12).

გაეროს 2021 წლის ივნისის მონაცემებით ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათს ავღანეთში 1500-დან 2000-მდე მებრძოლი ჰყავს (UN Security Council 2021). რაც შეეხება ტერორისტული ორგანიზაციის სტრუქტურას - „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათს“ იერარქიული მმართველი სტრუქტურა აქვს. ორგანიზაციის მმართველი ამირა გახლავთ, რომელიც ისლამური სახელმწიფოს ცენტრალური ფრთიდან ინიშნება (Al-Istrabadi and

[1] Tehrik e-Taliban - პაკისტანის თალიბანი.

[2] პაკისტანის ერთ-ერთი პროვინციის რეგიონი.

Ganguly 2018, 119-131). ISKP-ის მაღალი რანგის ლიდერული სტრუქტურა მრჩევლების საბჭოსაგან, შურასგან[3] შედგება (Jadoon and Mines 2019, 14-23). თუმცა, გარდა ამისა, მაღალ პოზიციებს იკავებენ პროვინციების მეთაურები და ISKP-ის ბიუროკრატიის სხვადასხვა ფუნქციებზე პასუხისმგებელი ლიდერებიც (Al-Istrabadi and Ganguly 2018, 119-131).

დაპირისპირება თალიბებსა და ISKP-ს შორის

თალიბანისა და „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის" დაპირისპირება 2015 წლიდან იწყება და დღემდე გრძელდება (Doxsee, Thompson and Hwang 2021). თუმცა, თალიბანსა და ისლამური სახელმწიფოს ხორასანის პროვინციას შორის ურთიერთობა ყოველთვის და მუდმივად მტრული არ ყოფილა. მაგალითისათვის, ჰაქანის ქსელი, რომელიც თალიბანში ინტეგრირებულ მოძრაობად ითვლება, გარკვეულ შემთხვევებში ISKP-ს თავდასხმებს კოორდინაციას უწევდა (Ibrahimi 2020, 1086-1107).

§ 1: იდეოლოგიური განსხვავება დაჯგუფებებს შორის, მიზნები, ტაქტიკა და სტრატეგია

ISKP-ის იდეოლოგია ისლამური სახელმწიფოს ფილოსოფიას ემთხვევა და ავრცობს, რომლის მიზანიც ტრანსნაციონალური სახალიფოს ჩამოყალიბებაა. ეს სახალიფო კი ისლამურ იურისპუდენციას უნდა ექვემდებარებოდეს (Hamid 2016). ისლამური სახელმწიფოს მთავარი დევიზი: „შენარჩუნება და გაფართოება"[4] ყველა მუსლიმს ახალ სახალიფოსთან შეერთებისაკენ მოუწოდებს (Zelin 2015). შეიძლება ითქვას, რომ ისლამური სახელმწიფო იდეოლოგიურად ყველა სხვა ტერორისტული ორგანიზაციისაგან განსხვავდება. მისი ძალადობრივი მრწამსი შიიტი მუსლიმების მიმართ ძალადობასაც ახალისებს. ამის ნათელი მაგალითია „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის" მიერ ავღანეთის შიიტ უმცირესობაზე, ჰაზარებზე განხორციელებული რამდენიმე თავდასხმაც (Sarkar 2021). „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათისა" და თალიბანის იდეოლოგიური განსხვავება 2020 წლის მარტში ISKP-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაშიც გამოიხატა. ISKP-მ თალიბანისა და შეერთებული შტატების მოლაპარაკებები დაგმო და აღნიშნა, რომ თალიბანი და „ჯვაროსნები" მოკავშირეები იყვნენ (Bunzel 2020).

რაც შეეხება თალიბანს - მისი იდეოლოგია მართლაც ნაციონალისტური მიზნების მიღწევაზეა დაფუძნებული. ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე თალიბანის მიზანს ავღანეთში ტერორისტული გზებით პოლიტიკური წარმატების მიღწევა და შარიათის კანონების აღდგენა წარმოადგენდა. თალიბანის იდეოლოგია ისლამის ერთ-ერთ ყველაზე რადიკალურ ინტერპრეტაციაზე, სალაფიტურ სწავლებაზეა დაფუძნებული (Rashid 2010, 88-104).

სწორედ ზემოთ აღნიშნული იდეოლოგიური განსხვავებულობის გამო, ტერორისტულ ორგანიზაციებს მიზნების მისაღწევად საკუთარი ტაქტიკა და სტრატეგია გააჩნიათ. ISKP-ის მოქმედების მთავარი ტაქტიკა დისტანციური ასაფეთქებელი მოწყობილობებით ან სუიციდური თავდასხმებით სამოქალაქო სამიზნეებსა და უსაფრთხოების ძალებზე შეტევის განხორციელებაა. მაგალითად, 2021 წლის 14 მაისს ყიდ ალ-ფიტრის[5] დროს ქაბულში მეჩეთზე თავდასხმაზე პასუხისმგებლობა სწორედ ISKP-მ აიღო (Reuters/Kabul Newsroom 2021). თალიბანის ტაქტიკასა და სტრატეგიას 2021 წლის აგვისტომდე კოალიციის მებრძოლებსა და ავღანეთის მთავრობის უსაფრთხოების ძალებზე თავდასხმა წარმოადგენდა. ამ მიზნების მისაღწევად თალიბანი სხვადასხვაგვარ საბრძოლო ტაქტიკებს იყენებდა. სუიციდური აფეთქებები, თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები (IED)[6], არაკონვენციური საომარი მოქმე-

[3] შურა - (არაბულად: الشورى) საბჭო, სათათბირო ორგანო.

[4] باقية وتتمدد - ისლამური სახელმწიფოს მთავარი დევიზი, ენიგმა.

[5] عيد الفطر - ისლამური მარხვის, რამადანის დასრულების აღსანიშნი დღესასწაული ისლამურ სამყაროში.

[6] IED - თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, ხელნაკეთი ბომბი, რომელსაც ხშირად ტერორისტული ორგანიზაციები ტერაქტების განსახორციელებლად იყენებენ, https://www.britannica.com/technology/improvised-explosive-device.

დებები, სარაკეტო თავდასხმები, მკვლელობები, გატაცებები და არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმები თალიბანის მთავარ სამოქმედო ტაქტიკას წარმოადგენდა (Anthony 2016, 112-138). ბუნებრივია, რომ სასურველი მიზნის მიღწევის შემდეგ, თალიბანის ტაქტიკა და სტრატეგიაც შეიცვალა. ქვეყნიდან კოალიციური ძალების გასვლისა და ავღანეთის უსაფრთხოების ძალების დამარცხების შემდეგ მისი სამიზნე ISKP გახდა, რომელიც წინამორბედებისაგან განსხვავებით ძალადობრივი მეთოდებით გამოირჩევა.

თალიბანისა და „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის" ტაქტიკასა და სტრატეგიაზე უფრო მეტის გასაგებად ავტორი საქართველოს თავდაცვის ძალების მოქმედ ოფიცერს ესაუბრა, რომელსაც ავღანეთში ბრძოლისა და ტერორისტულ დაჯგუფებებთან დაპირისპირების პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ოფიცრის ანონიმურობა მისივე მოთხოვნის შესაბამისად, დაცულია.

ოფიცრის ინფორმაციით, თალიბანის ტაქტიკა პირდაპირ კონტაქტში შესვლას არ მოიცავდა. ისინი ძირითადად არაპირდაპირი ცეცხლითა და სარაკეტო თავდასხმით ახორციელებდნენ შეტევებს. ბაზაზე შესვლის ამოცანისას კი თავდაპირველად VBIED მანევრს[7], ანუ დანაღმული ავტომანქანით თავდასხმასა და შემდგომ მოქმედებაზე გადასვლას იყენებდნენ. შესაბამისად, კოალიციურ ძალებთან უშუალო საბრძოლო კონტაქტში შესვლისაგან თალიბანი თავს იკავებდა.

რაც შეეხება ISKP-ს, ქართველი ოფიცრის განმარტებით, ის ნაკლებად მოქმედებდა სამხედრო ბაზების მიმართულებით. ISKP ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ახორციელებდა შეტევებს მასობრივი მსხვერპლის გამოსაწვევად. ძირითად შემთხვევაში ისინი თავშეყრის ადგილებსა და მეჩეთებს აფეთქებდნენ. ტერორისტული დაჯგუფების მთავარ მიზანს შიშის, პანიკისა და ტერორის დათესვა წარმოადგენდა (რესპონდენტი 2022).

ბუნებრივია, თალიბანი საკუთარი გავლენების შენარჩუნებას ძალაუფლების მოპოვების შემდეგაც ცდილობს, თუმცა უკვე განსხვავებული მეთოდებით. თალიბანი კვლავ აგრძელებს ძალის გამოყენებას, უბრალოდ განსხვავდება მეთოდები. მისი ტაქტიკა აღარ გახლავთ პარტიზანული ომის მეთოდები და მცირე მასშტაბიანი ოპერაციები. თალიბანის საჭიროებას ახლა პოლიციური ღონისძიებების გატარება წარმოადგენს, რომლის გამოცდილებაც არ აქვს, თუმცა მაინც ახორციელებს. ეს კი გარკვეულ პრობლემებს ქმნის (რესპონდენტი 2022).

§ 2: თალიბანისა და ISKP-ს პოზიციები. მათი ძლიერი და სუსტი მხარეები

მსგავსი წარსულის არსებობა ორივე ტერორისტულ ორგანიზაციას ერთმანეთთან დაპირისპირებაში საბრძოლო უპირატესობას აძლევს. ამ ბრძოლაში კი გამარჯვებული ის დარჩება, ვინც მოწინააღმდეგეს უფრო მეტ შეცდომას დააშვებინებს ან მასზე უპირატესობას მოიპოვებს.

რესპონდენტის მოსაზრებით, მიუხედავად თალიბანის ამჟამინდელი პოზიციებისა, მის ხელში ამჯერად უფრო ძლიერი იარაღი, ძალოვანი სტრუქტურები იმყოფება. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კოალიციური ჯარების გასვლისა და ავღანეთის მთავრობის გაქცევის შემდეგ ავღანეთის სპეცსამსახურების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შემცირდა. უფრო კონკრეტულად კი, მათ აღარ აქვთ ის საინფორმაციო უზრუნველყოფა, რასაც კოალიციური ძალები სადაზვერვო თუ სხვა სახის ინფორმაციის სახით აწვდიდნენ (რესპონდენტი 2022).

„ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის" უპირატესობა თალიბანთან მიმართებით, შესაძლოა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობაც იყოს. ავღანეთს გაეყინა ყველა საერთაშორისო აქტივი და ფულადი რეზერვიც. ამან კი ქვეყანა ჰუმანიტარულ კატასტროფამდე მიიყვანა. დასავლურმა სახელმწიფოებმა ავღანეთის ცენტრალურ ბანკს 9 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის აქტივები გაუყინეს (Reuters/Kabul Newsroom 2022).

[7] VBIED - თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობით დანაღმული ავტომანქანა, https://www.centcom.mil/MEDIA/IMAGERY/igphoto/2001669016/.

„ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის“ კიდევ ერთი უპირატესობა მისი რადიკალური იდეოლოგიაა. ISKP-ს პროპაგანდა თალიბანის ჭეშმარიტად ისლამურ იდეოლოგიაში ეჭვის შეტანას ითვალისწინებს.

ავღანეთის ეთნიკური მრავალფეროვნება ტერორისტული ორგანიზაციების სიძლიერისა და სისუსტის გამოსახატად კიდევ ერთ არგუმენტად გამოდგება. თალიბანის დაარსებიდან ძირითადად მის მებრძოლებს, ლიდერთა წრეს სწორედ პაშტუნები წარმოადგენდნენ. ISKP-ს შემთხვევაში კი ეს ასე არ არის. „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათი“ ეთნიკურ წარმომავლობას ყურადღებას არ აქცევს.

ექსტრემიზმის ექსპორტი ავღანეთიდან: გამოწვევები და საფრთხეები

საკითხის თეორიულ, აკადემიურ ჭრილში გააზრებისას, ავღანეთის, როგორც მყიფე სახელმწიფოს კონცეფციაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ერთი შეხედვით, აღნიშნული კონცეფცია განვითარების პერსპექტივას სწორედ იმ სახელმწიფოს ართმევს, რომელიც ამ პარადიგმას ყველაზე უკეთ ერგება. თუმცა, ავღანეთის მაგალითზე, როდესაც ერთ ქვეყანაში ორი ყველაზე მძლავრი, რადიკალური და დიდი მატერიალური შესაძლებლობების მქონე ტერორისტული ორგანიზაცია გავლენებს ინაწილებს, მყიფე სახელმწიფოში შექმნილი ვითარება საფრთხეს მთლიანად რეგიონის უსაფრთხოების გარემოს უქმნის.

ის მუხტი, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათშია“ თავმოყრილი, აუცილებლად დაიძრება სხვა მიმართულებით. ეს მიმართულება კი ზემოთ აღნიშნული მთელი რიგი მიზეზების გამო პირველ რიგში სწორედ ცენტრალური აზიის რეგიონი იქნება.

§ 1: ექსტრემიზმის ექსპორტის საფრთხეები ცენტრალური აზიის რეგიონში

რესპონდენტის აზრით, ექსტრემიზმის ექსპორტის ცენტრალური აზიის რეგიონის მიმართულებით დაძვრას საკუთარი მიზეზები აქვს. ამის მთავარი მიზეზი ცენტრალური აზიის რეგიონის სახელმწიფოების მართვის ფორმა - ავტოკრატიაა. ამ რეგიონის ქვეყნების უმეტესობის მმართველ რგოლს ელიტა წარმოადგენს. შესაბამისად, ასეთ ქვეყნებში სიმდიდრისა თუ სხვა სიკეთეების გადანაწილება მმართველ რგოლსა და მოსახლეობას შორის სრულად არაპროპორციულია. ამის გამო კი მოსახლეობის განწყობა რევანშისტული ხდება, რაც ისლამური სახელმწიფოს მსგავსი ორგანიზაციებისათვის სამოქმედოდ იდეალურ ნიადაგს წარმოადგენს. ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგია, როგორც უსამართლობასთან ბრძოლის კონცეფცია, ასეთ საზოგადოებებს ყველაზე ნაყოფიერად ერგება (რესპონდენტი 2022).

მეორე ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ძალიან სუსტი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრუქტურები წარმოადგენს. მათი უსაფრთხოების გარანტორი ძირითად შემთხვევაში სწორედ რუსეთი და მისი ინტერესებია. რუსეთ კი 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული ფართომასშტაბიანი ომის გამო, ცენტრალური აზიის რეგიონის უსაფრთხოებას დიდ ყურადღებას ვეღარ აქცევს.

აღნიშნულ მოსაზრებებს კიდევ უფრო მეტად ამყარებს ის გარემოება, რომ ექსტრემიზმის ექსპორტი როგორც თალიბანის, ისე „ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათის“ ინტერესებშიც ჯდება. თალიბანისათვის, ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვითარების განმუხტვას უფრო წარმოადგენს. რაც შეეხება ISKP-ს, მისთვის ექსტრემიზმის ექსპორტი უპირველესი ამოცანა იქნება. ISKP, როგორც ისლამური სახელმწიფოს ახალი ჰაბი და ცენტრი ავღანეთში, იდეოლოგიურ ექსპანსიას სწორედ იმ რეგიონებზე განახორციელებს, რომელიც ყველაზე მეტად მოწყვლადია. ასეთი კი გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური, სოციო-ეკონომიკური თუ რელიგიური ფაქტორების გათვალისწინებით ერთმნიშვნელოვნად სწორედ ცენტრალური აზიაა.

§ 2: სავარაუდო საფრთხეები სამხრეთ კავკასიისათვის

ცენტრალური აზიის რეგიონში განვითარებული მოვლენები, დომინოს პრინციპით ადრე თუ გვიან კავკასიაზეც აისახება. უპირველესი დარტყმა ექსტრემიზმის ექსპორტის მხრივ რუსეთის მუსლიმი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებს, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიას მიადგება. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში რადიკალური ისლამისა და ჯიჰადისტურ მოძრაობების წარსული გამოცდილება უკვე არსებობს. რუსეთის მხრიდან დაღესტანზე, ჩეჩნეთსა და ინგუშეთზე მართვის, კონტროლის მარწუხების მოშვება აპრიორულად ამ რეგიონში ექსტრემისტული მოძრაობების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, კავკასიაში ტერორისტული საფრთხეების „აფეთქება“ პირველად სწორედ ჩრდილოეთ რეგიონშია მოსალოდნელი (რესპონდენტი 2022).

კავკასიის რეგიონში, საქართველოს, როგორც ცენტრალური სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა, სატრანზიტო ფუნქცია თუ გეოპოლიტიკა ტერორისტულ საფრთხეებს პირდაპირი მნიშვნელობით იზიდავს. ისლამური სახელმწიფოს ექსპანსიისა და ექსტრემიზმის ექსპორტის შემთხვევაში კი, ის მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონზე, დაღესტანსა და ჩეჩნეთზე არ შეჩერდება. თუმცა, ექსტრემიზმის ექსპორტი საფრთხეს სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ საქართველოსთვის არ წარმოადგენს. ერთ-ერთი მთავარი სამიზნე აზერბაიჯანი იქნება. ამის მიზეზი კი აზერბაიჯანის რესურსებით მდიდარი ბუნებაა (რესპონდენტი 2022).

დასკვნა

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორი ტერორისტული ორგანიზაციის დაპირისპირების კონტურები სწორედ ახლა იკვეთება. მათი საბრძოლო სტრატეგიისა და ტაქტიკის ცვლილებამ არსებული სტატუს-კვო შეცვალა და მოვლენათა განვითარების ახალი პერსპექტივები გააჩინა.

„ისლამური სახელმწიფოს ხორასანის ვილაიათისა“ და თალიბანის გავლენებისათვის ბრძოლა ახალ სტადიაზე გადადის, რაც ქვეყნისა და რეგიონის უსაფრთხოების გარემოს დიდი საფრთხის წინაშე აყენებს. საგარეო აქტორების ჩარევის შემთხვევაში კი სიტუაცია შესაძლოა კიდევ უფრო უმართავი გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

რესპონდენტი, 2022. “ISKP და თალიბანი: იდეოლოგია, ტაქტიკა, მიზნები, სტრატეგია და სტრუქტურა.“ დავით ბერაძის ინტერვიუ. 9 ივნისი, 2022.

Al-Istrabadi, Feisal, and Sumit Ganguly. 2018. *The Future of ISIS: Regional and International Implications.* Washington DC: The Brookings Institution.

Anthony, Robert. 2016. *Cutting the Fuse: The Explosion of Global Suicide Terrorism and How to Stop it.* Chicago: University of Chicago Press.

Bunzel, Cole. 2020. “Jihadi Reactions to the US-Taliban Deal and Afghan Peace Talks.” *Jihadica,* September 23, 2020. https://www.jihadica.com/jihadi-reactions-to-the-u-s-taliban-deal-and-afghan-peace-talks/.

Congressional Research Service. 2021. *U.S. Military Withdrawal and Taliban Takeover in Afghanistan: Frequently Asked Questions.* n. p.: Congressional Research Service. https://crsreports.congress.gov/product/pdf/R/R46879.

Doxsee, Catrina, Jared Thompson, and Grace Hwang. 2021. “Examining Extremism.” *Center for Strategic & International Studies.* September 8, 2021. https://www.csis.org/blogs/examining-extremism/examining-extremism-islamic-state-khorasan-province-iskp.

Hamid, Shadi. 2016. “What a Caliphate Really is – and How the Islamic State is not One.” November 1, 2016. https://www.brookings.edu/blog/markaz/2016/11/01/what-a-caliphate-really-is-and-how-the-islamic-state-is-not-one/.

Hawkins, Lieutenant Colonel Jonathan. 2009. "The Pashtun Cultural Code: Pahtunwali." *Australian Defence Force Journal*: 1-13.

Ibrahimi, Niamatullah. 2020. "Intra-Jihadist Conflict and Cooperation: Islamic State-Khorasan Province and the Taliban in Afghanistan." *Studies in Conflict & Terrorism*: 1086-1107.

Jadoon, Amira, and Andrew Mines. 2019. *Taking Aim: Islamic State Khorasan's Leadership Losses.* West Point: Combating Terrorism Center.

Jones, Seth G. 2015. "Expanding the Caliphate: ISIS' South Asia Strategy." *Foreign Affairs*, June 11, 2015. https://www.foreignaffairs.com/articles/afghanistan/2015-06-11/expanding-caliphate.

Minority Rights Group International. World Directory of Minorities and Indigenous People. n.d. "Pashtuns – Afganistan". https://minorityrights.org/minorities/pashtuns/#:~:text=Pashtuns%20(also%20called%20Pushtan%2C%20Paktun,per%20cent%20of%20the%20population.

Rashid, Ahmed. 2010. "Taliban." *Yale University Press*: 88-104.

Rassler, Don. 2015. *Situating the Emergence of the Islamic State of Khorasan.* West Point: Combating Terrorism Center.

Reuters/Kabul Newsroom. 2021. "Twelve Killed in Explosion at Kabul Mosque During Friday Prayers." May 14, 2021. https://www.reuters.com/world/middle-east/twelve-killed-explosion-kabul-mosque-during-friday-prayers-2021-05-14/.

Reuters/Kabul Newsroom. 2022. "Afghan Central Bank Says U.S. Plan for Frozen Funds an 'Injustice'." Kabul, February 14, 2022. https://www.reuters.com/markets/funds/afghan-central-bank-says-us-plan-frozen-funds-an-injustice-2022-02-12/.

Sarkar, Saurav. 2021. "ISKP and Afghanistan's Future Security." Policy Memo, *Stimson*, August 6, 2021. https://www.stimson.org/2021/https-www-stimson-org-2021-iskp-and-afghanistans-future-security/.

Sayed, Abdul. 2021. "Analysis: How are the Taliban Organized?" September 8, 2021. https://www.voanews.com/a/us-afghanistan-troop-withdrawal_analysis-how-are-taliban-organized/6219266.html.

Siddique, Abubakar. 2012. *Afghanistan's Ethnic Divides.* Research Project. Barcelona: CIDOB Policy Research Center.

UN Security Council. 2021. *Twelfth Report of the Analytical Support and Sanctions Monitoring Team Submitted Pursuant to Resolution 2557 (2020) Concerning the Taliban and Other Associated Individuals and Entities Constituting Threat to the Peace Stability and Security of Afghanistan.* United Nations.

Zelin, Aaron Y. 2015. "The Islamic State's Model." *The Washington Post*, January 28, 2015. https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/01/28/the-islamic-states-model/.